

დამტკიცებულია
2025 წლის 7 ოქტომბრის
სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით

შპს „ნოვა“
(„კომპანია“)

აუდიტის კომიტეტის

დებულება

ქ. თბილისი
2025

შინაარსი

მუხლი 1	აუდიტის კომიტეტის ორგანიზაციული პრინციპები.....	3
მუხლი 2	აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა.....	4
მუხლი 3	უფლებამოსილების ვადები	4
მუხლი 4	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები	4
მუხლი 5	აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილება.....	5
მუხლი 6	ორგანიზაციული მმართველობა	6
მუხლი 7	კომუნიკაცია	6
მუხლი 8	სხდომები	7
მუხლი 9	კომიტეტის წევრთა ანაზღაურება	7
მუხლი 10	ღირებულებები და ეთიკა	7
მუხლი 11	კონტროლი და კანონთან შესაბამისობა.....	8
მუხლი 12	შიდა აუდიტორების საქმიანობის ზედამხედველობა	9
მუხლი 13	შიდა აუდიტის ჩართულობა და შემდგომი ქმედებები	10
მუხლი 14	გარე აუდიტორები.....	11
მუხლი 15	ფინანსური ანგარიშგება და საჯარო ანგარიშვალდებულების ანგარიში	12
მუხლი 16	სხვა პასუხისმგებლობები	13
მუხლი 17	ანგარიშგება აუდიტის კომისიის მუშაობის შესახებ.....	13
მუხლი 18	ინტერესთა კონფლიქტი	14
	დადასტურება/ხელმოწერები:.....	15

გვირ აბუჯ

მუხლი 1 აუდიტის კომიტეტის ორგანიზაციული პრინციპები

1.1. კომპანიაში, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებითა და დამტკიცებით, ჩამოყალიბებულია აუდიტის კომიტეტი. მისი ამოცანაა უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტის კონტროლი, ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირება და, საჭიროების შემთხვევაში, შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა. აუდიტის კომიტეტი ასევე წარმართავს ურთიერთობას გარე აუდიტორთან. აუდიტის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მმართველობაზე, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემაზე ზედამხედველობის განხორციელებაში. აღნიშნული ზედამხედველობის მექანიზმი მნიშვნელოვანია კომპანიის მართვის გამჭვირვალობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მიმართ ნდობის გასამდიერებლად.

1.2. აუდიტის კომიტეტი შეიქმნა 2025 წლის 7 ოქტომბერს, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა წინამდებარე აუდიტის კომიტეტის დებულება.

1.3. აუდიტის კომიტეტის მიზანია, უზრუნველყოს კომპანიის მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის სტრუქტურულიზებული, სისტემატური ზედამხედველობა. კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება რჩევებით, რეკომენდაციებითა და მითითებებით კომპანიის გეგმების/წინადადებების/იდეების ადეკვატურობასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

- ღირებულებებსა და ეთიკას;
- მართვის სტრუქტურას;
- რისკების მართვას;
- შიდა კონტროლის სტრუქტურას;
- შიდა აუდიტის, გარე აუდიტორებისა და რწმუნების სხვა პროვაიდერების საქმიანობის ზედამხედველობას;
- ფინანსურ ანგარიშგებისა და საჯარო ანგარიშვალდებულების ანგარიშებს

აუდიტის კომიტეტი განიხილავს ზემოაღნიშნულ თითოეულ საკითხს და უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებელი კონსულტაციებითა და რეკომენდაციებით დირექტორის მართვის პრაქტიკის სათანადოობისა და ეფექტიანობის შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში მისი გაუმჯობესების გზების შესახებ.

1.4. აუდიტის კომიტეტის დაფუძნების მანდატი განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 2 აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა

2.1. აუდიტის კომიტეტი ფორმირდება სამეთვალყურეო საბჭოს სამი (3) წევრისგან, რომელთაგან ერთი უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი. კომიტეტის შემადგენლობას ერთობლივად უნდა გააჩნდეს ადეკვატური ცოდნა და გამოცდილება აუდიტის, ფინანსების, კონკრეტული დარგის სპეციფიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT), სამართლის, კორპორაციული მართვის, ასევე რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მიმართულებით. ვინაიდან აუდიტის კომიტეტის ფუნქციები ვითარდება რეგულაციების, ეკონომიკური გარემოსა და ანგარიშგების პრაქტიკის ცვლილებების შესაბამისად, აუცილებელია პერიოდულად განხორციელდეს კომიტეტის წევრთა პროფესიული კვალიფიკაციისა და კომპეტენციების გადახედვა, აგრეთვე უნარებისა და შესაძლებლობების საერთო ბალანსის შეფასება, რათა კომიტეტმა ეფექტიანად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები

2.2. კომიტეტის წევრებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ასევე განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი.

მუხლი 3 უფლებამოსილების ვადები

აუდიტის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადაა 2 (ორი) წელი. აუდიტის კომიტეტის წევრობის ვადა ყოველწლიურად გადაიხედება. აუდიტის კომიტეტის წევრთა შემადგენლობის ბალანსის მუდმივად შესანარჩუნებლად, ახალი წევრების დანიშვნა უნდა ხდებოდეს ეტაპობრივად.

მუხლი 4 აუდიტის კომიტეტის ფუნქციები

4.1. აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

4.1.1. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;

4.1.2. ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;

4.1.3. ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;

4.1.4. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

მეორე ადგილზე
თავის ავტორი

მუხლი 5 აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილება

- 5.1. აუდიტის კომიტეტის დებულება ადგენს აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილებას, შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის დადგენილი ვალდებულებები ისე, როგორც ეს აუდიტის კომიტეტის დებულებაშია განსაზღვრული.
- 5.2. მოვალეობების შესრულებისას, აუდიტის კომიტეტს უნდა ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა კომპანიის მმართველობის წევრებთან, კომპანიაში დასაქმებულ სხვა პირებთან და ყველანაირ შესაბამის ინფორმაციასთან, რომელსაც კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.
- 5.3. კომიტეტს შეუზღუდავი წვდომა აქვს კომპანიის ჩანაწერებთან, მონაცემებთან და ანგარიშებთან. იურიდიული ან კონფიდენციალური მოსაზრების გამო მოთხოვნილი დოკუმენტებით სარგებლობაზე უარის მიღების შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტი საკითხის გადასაჭრელად მიმართავს სამეთვალყურეო საბჭოს.
- 5.4. აუდიტის კომიტეტს უფლება აქვს, მიიღოს ნებისმიერი ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. კომპანიის ხელმძღვანელობამ და პერსონალმა უნდა ითანამშრომლონ აუდიტის კომიტეტთან კომიტეტის მოთხოვნების შესასრულებლად.
- 5.5. აუდიტის კომიტეტს უფლება აქვს, დაიქირავოს ნებისმიერი დამოუკიდებელი კონსულტანტი ან/და სხვა მრჩეველები, რომლებსაც ის საჭიროდ მიიჩნევს თავისი მოვალეობების შესასრულებლად. აღნიშნული მომსახურებებისთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა ეკისრება კომპანიას.
- 5.6. აუდიტის კომიტეტი დამატებით უფლებამოსილია:
- 5.6.1. დანიშნოს გარე აუდიტორები და ზედამხედველობა გაუწიოს აუდიტორების მიერ შესრულებულ ნებისმიერ აუდიტორულ და არააუდიტორულ მომსახურებას, მათ შორის კომპანიის მიერ დაქირავებული, რეგისტრირებული აუდიტორული ფირმის სამუშაოს.
 - 5.6.2. გადაჭრას ხელმძღვანელობასა და აუდიტორს შორის არსებული ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც ეხება ფინანსურ ანგარიშგებასა და სხვა საკითხებს;
 - 5.6.3. წინასწარ შეათანხმოს და დაამტკიცოს აუდიტორების მიერ შესრულებული ნებისმიერი აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურება;

5.6.4.სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ;

5.6.5.გამოსცეს რეკომენდაციები ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფისა და შესარჩევი გარე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ.

მუხლი 6 ორგანიზაციული მმართველობა

6.1. აუდიტის კომიტეტი განიხილავს კომპანიის მართვის პროცესებსა და პროცედურებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი სწორად და ეფექტიანად მუშაობს. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი საბჭოს სთავაზობს რეკომენდაციებს ამ პროცესების გაუმჯობესებისათვის.

6.2. კომპანიის რისკების მართვის მეთოდებთან დაკავშირებით გონივრული რწმუნების მისაღებად, აუდიტის კომიტეტი:

6.2.1. ყოველწლიურად მიმოიხილავს კომპანიის რისკების პროფილს/მახასიათებლებს;

6.2.2. აუდიტის მთავარი აღმასრულებელი პირისგან მოიპოვებს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც ეხება ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს მასშტაბით რისკების მართვის შესაბამისი პროცესის დანერგვასა და ფუნქციონირებას;

6.2.3. უზრუნველყოფს ზედამხედველობას მნიშვნელოვან რისკფაქტორებსა და კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის თაღლითობის რისკებზე, კომპანიის მმართველობის საკითხებზე და ასევე სხვა აუცილებელ ან ზედა დონის ხელმძღვანელი პერსონალისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოთხოვნილ საკითხებზე.

6.2.4. ზედამხედველობას უწევს გაცემული ერთიანი რწმუნების ადეკვატურობას;

6.2.5. მიმოიხილავს კომპანიაში დანერგილ და მოქმედ რისკების მართვის პროცესსა და პროცედურებს და, საჭიროებისამებრ, გასცემს რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს მათი ფუნქციონირება დანიშნულებისამებრ.

მუხლი 7 კომუნიკაცია

7.1. აუდიტის კომიტეტი უზრუნველყოფს გამჭვირვალე, კონსტრუქციულ და დროულ კომუნიკაციას როგორც კომპანიის შიგნით, ასევე გარე დაინტერესებულ პირებთან.

ხვიარა აბაშიანი

7.2. კომიტეტი მმართველ ორგანოს წარუდგენს ყოველწლიურ და ყოველკვარტლურ ანგარიშს, ან უფრო ხშირად, კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე.

7.3. მმართველი ორგანოს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში კომიტეტი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია ან განმარტება.

7.4. კომიტეტი ინფორმაციის გაცვლას ახორციელებს წერილობითი ანგარიშის, ელექტრონული შეტყობინების ან პირადი შეხვედრის გზით, კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმატისა და პროცედურების შესაბამისად.

7.5. აუდიტის კომიტეტი განსაზღვრავს და წარადგენს ინფორმაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ინფორმაციის ხასიათს, მოცულობასა და მიწოდების ვადებს. აუდიტის კომიტეტს ინფორმაცია მიეწოდება აუდიტის კომიტეტის თითოეულ სხდომამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე.

მუხლი 8 სხდომები

8.1. აუდიტის კომიტეტი უნდა იკრიბებოდეს წელიწადში სულ მცირე ოთხჯერ ან, თუ კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს, უფრო ხშირადაც. აუდიტის კომიტეტის სხდომებს შორის დროის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს.

8.2. აუდიტის კომიტეტის სხდომის ოქმი უნდა მომზადდეს მოქმედი კანონმდებლობის, შესაბამისი ნორმატიული აქტების, შიდა რეგულაციების, დებულებებისა და პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში უნდა მომზადდეს სხდომის ოქმის სამუშაო ვერსია, რომელიც შემდგომში დამტკიცდება დადგენილი წესით.

8.3. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა აგვარებდეს და კოორდინაციას უწევდეს სხდომების მოწყობას.

მუხლი 9 კომიტეტის წევრთა ანაზღაურება

კომიტეტის წევრებს შეიძლება აუნაზღაურდეთ მგზავრობასა და კომიტეტთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

მუხლი 10 ღირებულებები და ეთიკა

10.1. კომპანიის ღირებულებებისა და ეთიკის ნორმების უზრუნველსაყოფად, აუდიტის კომიტეტი:

10.1.1. განიხილავს და აფასებს დირექტორის მიერ დადგენილ პოლიტიკას, პროცედურებსა და სხვა მეთოდებს, რომლებიც განკუთვნილია კომპანიის

Handwritten signature

ყველა ხელმძღვანელი პირისა და მთელი პერსონალის მიერ კომპანიის ქცევისა და ეთიკის ნორმებთან შესაბამისობაზე;

10.1.2. ზედამხედველობას უწევს მექანიზმებს, რომლებიც ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და დანერგა იმისთვის, რომ კომპანიაში დამკვიდრდეს მაღალი ეთიკური სტანდარტები ყველა ხელმძღვანელი პირისა და დასაქმებულისთვის.

10.1.3. იხილავს და საბჭოს რეკომენდაციებს აწვდის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი და დანერგილი სისტემებისა და მექანიზმების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია კანონების, სხვა ნორმატიული აქტების, პოლიტიკისა და ეთიკური ქცევის სტანდარტების დაცვაზე მონიტორინგის განსახორციელებლად, ასევე ნებისმიერი სამართლებრივი თუ ეთიკური დარღვევის გამოსავლენად და მოსაგვარებლად

მუხლი 11 კონტროლი და კანონთან შესაბამისობა

11.1. თაღლითობის პრევენციისა და გამოვლენისთვის განკუთვნილი კომპანიის პროცესის შესახებ გონივრული რწმუნების მისაღებად, აუდიტის კომიტეტი:

11.1.1. ზედამხედველობას უწევს თაღლითობის პრევენციისა და შეკავების მიზნით დადგენილ მეთოდებს;

11.1.2. უზრუნველყოფს, რომ თაღლითობის ჩამდენი პირების მიმართ გატარდება სათანადო ზომები.

11.2. კანონთან შესაბამისობის კონტროლის ფარგლებში, აუდიტის კომიტეტი:

11.2.1. ამოწმებს კომპანიაში მოქმედ კანონმდებლობის დაცვის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობას, განიხილავს ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ ჩატარებული გამოძიებების შედეგებს და მიღებულ შემდგომ ზომებს (მათ შორის დისციპლინურ ღონისძიებებს);

11.2.2. განიხილავს გარე აუდიტორების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებსა და დასკვნებს, ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს;

11.2.3. აფასებს იმ პროცესებს, რომლებიც მიმართულია პერსონალისთვის ქცევის კოდექსის გაცნობისა და მისი შესრულების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად;

11.2.4. რეგულარულად იღებს ხელმძღვანელობისა და კომპანიის იურისტისგან ინფორმაციას ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულებისა და კანონთან შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 12 შიდა აუდიტორების საქმიანობის ზედამხედველობა

12.1. შიდა აუდიტორების საქმიანობის გონივრული და სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად, აუდიტის კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობას შიდა აუდიტის დებულებასა და რესურსებზე, კერძოდ:

12.1.1. კომიტეტი ვალდებულია, ყოველ კალენდარულ წელს მინიმუმ ერთხელ განიხილოს და დაამტკიცოს დებულება. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს, რომ დებულება ზუსტად ასახავს შიდა აუდიტის მიზნებს, უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობებს და შეესაბამება შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის „პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო საფუძვლებით“ განსაზღვრულ სავალდებულო პრინციპებს, აგრეთვე კომპანიის ფინანსური პროცესებში, რისკების მართვასა და მმართველობით სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს.

12.1.2. კომიტეტი რეგულარულად აფასებს შიდა აუდიტის ფუნქციისთვის აუცილებელი რესურსების საკმარისობას და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს რესურსების გაზრდის ან შემცირების თაობაზე, მათ შორის აუტოსორსინგის საშუალებით დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზანშეწონილობის შესახებ.

12.2. აღნიშნული რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა ეკისრება კომპანიას.

12.3. შიდა აუდიტის გეგმისა და სტრატეგიის დასახვის ფარგლებში, კომიტეტი:

12.3.1. მიმოიხილავს და წარადგენს მონაცემებს შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის საქმიანობის სტრატეგიული გეგმის, მიზნების, საქმიანობის მაჩვენებლებისა და შედეგების შესახებ.

12.3.2. მიმოიხილავს და ამტკიცებს შემოთავაზებულ, რისკზე დაფუძნებულ შიდა აუდიტის გეგმას და შეიმუშავებს შიდა აუდიტის პროექტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

12.3.3. მიმოიხილავს და ამტკიცებს შიდა აუდიტის გეგმას და შიდა აუდიტის დავალებების სამუშაო პროგრამას, მათ შორის, განიხილავს გეგმის შესასრულებლად აუცილებელ შიდა აუდიტის რესურსებს.

12.3.4. მიმოიხილავს აუდიტის გეგმასთან დაკავშირებით შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგებს.

მუხლი 13 შიდა აუდიტის ჩართულობა და შემდგომი ქმედებები

13.1. შიდა აუდიტის ჩატარების შემდეგ, კომიტეტი:

13.1.1. მიმოიხილავს შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის დასკვნას და ხელმძღვანელობისთვის მიწოდებულ სხვა ინფორმაციას.

13.1.2. მიმოიხილავს და თვალყურს ადევნებს ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმას, შიდა აუდიტის შედეგებზე რეაგირების კუთხით.

13.1.3. მიმოიხილავს ნებისმიერი სპეციალური გამოკვლევის შედეგების და, საჭიროებისამებრ, ხელმძღვანელობას აწვდის რეკომენდაციებს.

13.1.4. ატარებს აუდიტის მთავარი აღმასრულებელი პირის გამოკითხვას იმის შესახებ, დასრულდა თუ არა ესა თუ ის შიდა აუდიტორული ან არაუდიტორული სამუშაო/დავალება, რომლის შესახებ კომიტეტისთვის ანგარიში ჯერ არ არის წარდგენილი; ასეთ შემთხვევაში, მას გამოკითხავს, გამოვლინდა თუ არა ამგვარი სამუშაოდან რამე მნიშვნელოვანი საკითხი/პრობლემა.

13.1.5. გამოკითხავს აუდიტის მთავარ აღმასრულებელ პირს, გამოვლინდა თუ არა თაღლითობის რაიმე მტკიცებულება შიდა აუდიტის ჩატარებისას და, საჭიროებისამებრ, აფასებს, რა დამატებითი ზომების მიღებაა აუცილებელი.

13.2. სტანდარტების შესაბამისობის ფარგლებში, კომიტეტი:

13.2.1. ატარებს აუდიტის მთავარი აღმასრულებელი პირის გამოკითხვას იმის დასადგენად, რა ზომები გატარდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის საქმიანობა შეესაბამებოდეს შიდა აუდიტორების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (სტანდარტები).

13.2.2. უზრუნველყოფს, რომ შიდა აუდიტის საქმიანობას გააჩნდეს ხარისხის უზრუნველყოფისა და ამალღების პროგრამები და ამგვარი პერიოდული შეფასებების შედეგების შესახებ ანგარიშები წარედგინებოდეს აუდიტის კომიტეტს.

Handwritten signature

- 13.2.3. უზრუნველყოფს, რომ სულ მცირე ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ტარდებოდეს შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის საქმიანობის ხარისხის გარე მიმოხილვა.
- 13.2.4. მიმოიხილავს ხარისხის დამოუკიდებელი გარე მიმოხილვას შედეგებს და მონიტორინგს უწევს შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის საქმიანობის სამოქმედო გეგმას, რათა უზრუნველყოს რეკომენდაციების პრაქტიკაში რეალიზება.
- 13.2.5. შიდა აუდიტის საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესების მისაღწევად, საბჭოს უწევს კონსულტაციას ნებისმიერ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 14 გარე აუდიტორები

- 14.1. გარე რწმუნების პროვაიდერების საქმიანობასთან დაკავშირებით გონივრული რწმუნების მისაღებად, აუდიტის კომიტეტი უნდა შეხვდეს გარე პროვაიდერებს აუდიტის გარიგების დაგეგმვის ეტაპზე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის და აუდიტის გარიგების შედეგებისა და ხელმძღვანელობისთვის მომზადებული რეკომენდაციების განხილვისას.
- 14.2. გარე აუდიტორებთან ურთიერთობისას, აუდიტის კომიტეტი:
 - 14.2.1. მიმოიხილავს გარე აუდიტორების მიერ შეთავაზებულ აუდიტის მასშტაბსა და მიდგომას, მათ შორის, შიდა აუდიტის განყოფილების/შიდა აუდიტორის საქმიანობასთან გარე აუდიტის სამუშაოთა კოორდინაციის საკითხს;
 - 14.2.2. მიმოიხილავს გარე აუდიტორების საქმიანობას და გასცემს საბოლოო თანხმობას აუდიტორების დანიშვნასთან ან განთავისუფლებასთან დაკავშირებით.
 - 14.2.3. გარე აუდიტორებისაგან მოიპოვებს ინფორმაციას კომპანიასთან მათი ურთიერთობების, მათ შორის წარსულში შესრულებული არააუდიტორული მომსახურების შესახებ და გარე აუდიტორებთან ერთად განიხილავს შესაბამის ინფორმაციას მათი დამოუკიდებლობის შემოწმებისა და დადასტურების მიზნით.
 - 14.2.4. აწყოფს გარე რეგულარულად დაგეგმილ ექსკლუზიურ შეხვედრებს აუდიტორებთან, ნებისმიერი სენსიტიური საკითხის განსახილველად.
 - 14.2.5. მონიტორინგს უწევს ხელმძღვანელობის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობას.

Handwritten signature

საქართველო
სამეთვალყურეო საბჭო

14.3. გონივრული რწმუნების მისაღებად იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელობამ სათანადო რეაგირება მოახდინა ჩატარებული შიდა და გარე აუდიტის შედეგებსა და აუდიტორების რეკომენდაციებზე, აუდიტის კომიტეტი რეგულარულად იხილავს ანგარიშებს, რომლებიც ეხება ხელმძღვანელობის დამტკიცებული სამოქმედო გეგმების შესრულებისა და აუდიტორების რეკომენდაციების პრაქტიკაში რეალიზების მიმდინარეობას.

მუხლი 15 ფინანსური ანგარიშგება და საჯარო ანგარიშვალდებულების ანგარიში

15.1. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტის პროცესზე ზედამხედველობის განხორციელებაზე. კომიტეტის ფუნქციებში ასევე შედის აუდიტის შედეგად გამოვლენილი უზუსტობებისა და დარღვევების განხილვა და მათი აღმოფხვრის პროცესის მონიტორინგი, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია შიდა კონტროლთან, სამართლებრივ, მარეგულირებელ და ეთიკურ მოთხოვნებთან.

15.2. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში, აუდიტის კომიტეტი:

15.2.1. ხელმძღვანელობასა და გარე აუდიტორებთან ერთად განიხილავს აუდიტის გარიგების შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს;

15.2.2. მიმოიხილავს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, რთულ ან არაორდინარულ ოპერაციებს, საკითხებს, რომლებსაც საფუძვლიანი განსჯა და ხელმძღვანელობის მხრიდან გადაწყვეტილების მიღება ესაჭიროება, უახლეს პროფესიულ და მარეგულირებელ ოფიციალურ დოკუმენტებს და აანალიზებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მათ გავლენას;

15.2.3. მიმოიხილავს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და აანალიზებს, სრულყოფილია თუ არა ის, შესაბამისობაშია თუ არა კომიტეტის წევრებისთვის ცნობილ ინფორმაციასთან და ასახავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის პრინციპებს.

15.2.4. მიმოიხილავს წლიური ანგარიშის სხვა განყოფილებებს, მასთან დაკავშირებულ ნორმატიულ მოთხოვნებს და ინფორმაციის გამოქვეყნებამდე აანალიზებს მის სიზუსტესა და სისრულეს.

- 15.2.5. ხელმძღვანელობასა და გარე აუდიტორებთან ერთად მიმოიხილავს ყველა საკითხს, რომლის შესახებაც აუდიტის კომიტეტი ინფორმირებული უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედი გარე აუდიტის სტანდარტების შესაბამისად.
- 15.2.6. შეისწავლის სტრატეგიებს, დაშვებებსა და შეფასებებს, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტებისა და საინვესტიციო გეგმების მომზადებისას.
- 15.2.7. მარეგულირებელ ორგანოებთან წარდგენამდე, ხელმძღვანელობასა და გარე აუდიტორებთან ერთად იხილავს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას, ანალიზებს, სრულყოფილია თუ არა ის და შეესაბამება თუ არა კომიტეტის წევრებისთვის ცნობილ ინფორმაციას.

მუხლი 16 სხვა პასუხისმგებლობები

- 16.1. გარდა მითითებული ვალდებულებებისა, აუდიტის კომიტეტმა უნდა:
- 16.1.1. განახორციელოს ამ დებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა, მმართველი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში.
- 16.1.2. აუცილებლობის შემთხვევაში, ჩაატაროს სპეციალური გამოკვლევა და ზედამხედველობა გაუწიოს ამ პროცესს;
- 16.1.3. პერიოდულად შეაფასოს თავისი (კომიტეტის) და კომიტეტის ცალკეული წევრების საქმიანობა.

მუხლი 17 ანგარიშგება აუდიტის კომისიის მუშაობის შესახებ

- 17.1. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც შეაჯამებს კომიტეტის საქმიანობასა და რეკომენდაციებს. ანგარიშის გადაცემა შესაძლებელია აუდიტის კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც საბჭოც ესწრება, ან რეგულარულ დაგეგმილ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე.
- 17.2. ანგარიში ასევე უნდა შეიცავდეს:
- 17.2.1. აუდიტის კომიტეტის მიერ წინა წელს ჩატარებული სამუშაოს მოკლე ანგარიშს;
- 17.2.2. ხელმძღვანელობის მოკლე ანგარიშს იმის თაობაზე, რა გაკეთდა შიდა და გარე აუდიტის ანგარიშების შედეგებზე რეაგირების კუთხით.
- 17.2.3. ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი რისკების მართვის, კონტროლისა და შესაბამისობის პროცესების ზოგად შეფასებას, მათ შორის, დეტალურ

ინფორმაციას ნებისმიერი ახლად წარმოქმნილი/მოსალოდნელი მნიშვნელოვანი რისკის ან საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის მართვაზე.

17.2.4. ჩატარებული სხდომების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული სხდომების საერთო რაოდენობას და ინფორმაციას იმის თაობაზე, თითოეული წევრი რამდენ სხდომას დაესწრო.

17.2.5. ინფორმაციას, რომლის გათვალისწინება ანგარიშში აუცილებელია კორპორაციული მართვის სფეროს ცვლილებებთან ან მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით, შესაბამის შემთხვევაში.

17.2.6. კომიტეტს ნებისმიერ დროს შეუძლია მმართველი ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენა ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც იგი საკმარისად მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

მუხლი 18 ინტერესთა კონფლიქტი

18.1. აუდიტის კომიტეტის თითოეული წევრი ვალდებულია, სრულად დაიცვას კომპანიის მიერ დადგენილი ან/და ინდუსტრიაში გავრცელებული, გონივრული ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები.

18.2. კომიტეტის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომიტეტს ნებისმიერი რეალური, სავარაუდო ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი, პროფესიული ან სხვა სახის ურთიერთობებიდან და რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს კომიტეტის მიერ განხილული საკითხების ობიექტურ და მიუკერძოებელ გადაწყვეტაზე.

18.3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან მისი შესაძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი წევრი ვალდებულია:

18.3.1. დროულად და სრულად გამოავლინოს კონფლიქტის გარემოებები;

18.3.2. თავი შეიკავოს ისეთი საკითხის განხილვაში მონაწილეობისა და/ან ხმის მიცემისაგან, სადაც კონფლიქტი იკვეთება;

18.3.3. საჭიროების შემთხვევაში, შეაჩეროს მონაწილეობა კონკრეტული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

18.4. კომიტეტი უფლებამოსილია, კოლეგიური გადაწყვეტილებით განსაზღვროს, არსებობს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი და გადაწყვიტოს, უნდა შეიზღუდოს თუ არა შესაბამისი წევრის მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში.

დამტკიცებულია
2025 წლის 7 ოქტომბრის
სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით

18.5. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული განცხადებები და კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წერილობით ფიქსირდება და ინახება კომპანიის დადგენილი წესების შესაბამისად.

დადასტურება/ხელმოწერები:

აუდიტის კომიტეტის თავჯდომარე: ლევან ავთიანი თარიღი: _____

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: _____ თარიღი: _____

ლევან ავთიანი

Approved
Under the decision of the Supervisory Board
dated 7 October 2025

NOVA LLC
(the Company)
Bylaws of the
Audit Committee

Tbilisi
2025

Contents

Article 1	Organizational Principles of the Audit Committee	3
Article 2	Composition of the Audit Committee	3
Article 3	Terms of office	4
Article 4	Functions of the Audit Committee	4
Article 5	Powers of the Audit Committee.....	4
Article 6	Organizational Governance.....	5
Article 7	Communication.....	5
Article 8	Meetings.....	6
Article 9	Remuneration of the Committee Members	6
Article 10	Values and Ethics	6
Article 11	Control and Compliance with the Law.....	6
Article 12	Supervision of the Activities of Internal Auditors	7
Article 13	Internal Audit Involvement and Follow-up Actions	8
Article 14	External Auditors	8
Article 15	Financial Reporting and Public Accountability Report.....	9
Article 16	Other Responsibilities	10
Article 17	Reporting on the Work of the Audit Committee.....	10
Article 18	Conflict of Interest.....	11
	Confirmation / Signatures:	11

L. J. J. J.

Approved

Under the decision of the Supervisory Board
dated 7 October 2025

Article 1 Organizational Principles of the Audit Committee

1.1. The Audit Committee is established within the Company by the decision and approval of the Supervisory Board. Its purpose is to ensure the accuracy of the Company's financial reporting, the effective operation of the internal control system, and, when necessary, the independence of internal audit. The Audit Committee also manages the relationship with the external auditor. The Audit Committee plays a significant role in corporate governance, risk management, and oversight of the internal control system. This supervisory mechanism is essential for enhancing transparency in corporate governance, strengthening risk management, and building trust in the internal control system.

1.2. The Audit Committee was established on 7 October 2025 based on the decision of the Supervisory Board. The Supervisory Board approved this Bylaws of the Audit Committee.

1.3. The purpose of the Audit Committee is to ensure structured and systematic supervision of the Company's governance, risk management, and internal control systems. The Committee assists the Supervisory Board by providing advice, recommendations, and guidance regarding the adequacy of the Company's plans, proposals, and ideas related to:

- Values and ethics;
- Governance structure;
- Risk management;
- Internal control structure;
- Oversight of the activities of internal audit, external auditors, and other assurance providers;
- Financial reporting and public accountability reports

The Audit Committee reviews each of the above matters and provides the Supervisory Board with independent advice and recommendations regarding the adequacy and effectiveness of the Director's management practices, as well as possible ways for their improvement, when necessary.

1.4. The mandate for the establishment of the Audit Committee is defined by the Law of Georgia on the Securities Market.

Article 2 Composition of the Audit Committee

2.1. The Audit Committee is composed of three (3) members of the Supervisory Board, one of whom must be an independent member. The Committee as a whole must possess adequate knowledge and experience in auditing, finance, the specifics of the relevant industry, information technology (IT), law, corporate governance, as well as risk management and internal control. Since the functions of the Audit Committee evolve in line with changes in regulations, the economic environment, and reporting practices, it is essential to periodically review the professional qualifications and competencies of the Committee members, as well as assess the overall balance of skills and capabilities to ensure the effective performance of the Committee's duties.

2.2. The members of the Committee are appointed by the Supervisory Board, which also designates the Chairperson of the Audit Committee, who must, in all cases, be an independent member.

Approved
Under the decision of the Supervisory Board
dated 7 October 2025

Article 3 Terms of Office

The term of office of an Audit Committee member is two (2) years. The term of membership is reviewed annually. To maintain a continuous balance in the composition of the Audit Committee, the appointment of new members should be carried out gradually.

Article 4 Functions of the Audit Committee

- 4.1. The function of the Audit Committee is to oversee:
 - 4.1.1. The process of preparing financial statements;
